



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



## განკარგულება № 111

2011 წლის 30 აგვისტო  
ქალაქი ხაშური

### ქ. ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 69.08.066.019) საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 11.08.2011 წლის №05/17757 წერილით გვთხოვენ განხილულ იქნეს საკითხი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ქალაქ ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე) მდებარე 2398 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №69.08.66.019) სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შესახებ.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული თავის საკუთრებაში არსებულ ქონებას განკარგავს „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლი ითვალისწინებს უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მიტოვების შესაძლებლობას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მეასამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე :

1. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მიტოვებულ იქნას ქალაქ ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე) მდებარე 2398 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №69.08.66.019) სახელმწიფოს სასარგებლოდ.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გამოსცეს ბრძანება ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების მიტოვების შესახებ.
3. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიიღოს შესაბამისი ზომები ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების მიტოვების შესახებ.
4. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. განკარგულების შეიძლება გასაჩივრედეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ხაშური, ტაბიძის ქ. N 2), ხოლო შემდგომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. N15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე